



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080176285056519

№ 1414

11 / მარტი / 2019 წ.

შპს „მშენებელ+“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ტენდერის ნომერი: NAT180016969;

შესყიდვის ობიექტი: 39700000 – საოჯახო ტექნიკა;

მიმწოდებელი: შპს „მშენებელ+“ (ს/ნ: 400083413);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 11 იანვარს წარმოდგენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 იანვრის № MIA11900068570 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №275), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „მშენებელ+“-ის (ს/ნ: 400083413) მიერ NAT180016969 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 27 ნოემბრის №768 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. შპს „მშენებელ+“-ს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე mixeil.xorguashvili@mail.ru, 2019 წლის 18 იანვრის № 214 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა სააგენტოში 2019 წლის 28 იანვარს წარმოადგინა 2019 წლის 25 იანვრის №1 განმარტება (რეგისტრაციის № 888) NAT180016969 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 27 ნოემბრის № 768 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არ შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 27 ნოემბრის № 768 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 27 დეკემბრის №MIA51803128043 წერილით ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, მან შემსყიდველ ორგანიზაციას შეთანხმებული საქონელი ვერ მიანოდა მესამე პირის – მიმწოდებელი კომპანიის ბრალით, ვინაიდან ხსენებულმა კომპანიამ შპს „მშენებელ“-ს უარი განუცხადა საქონლის მიწოდებაზე.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა NAT180016969 ელექტრონული ტენდერი საოჯახო ტექნიკის (CPV39700000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 19 ნოემბრის № 5 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „მშენებელ“ (ს/ნ: 400083413) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2018 წლის 27 ნოემბერს გაფორმდა № 768 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ამავე ხელშეკრულების № 1 დანართით გათვალისწინებული მახასიათებლების მქონე საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 კალენდარული დღის ვადაში, 2018 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 7 098,96 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 იანვარი.

4.4. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა 2018 წლის 12 დეკემბერს და აცნობა, რომ მიმწოდებელმა კომპანიამ უარი განუცხადა საქონლის მიწოდებაზე. ამდენად, შპს „მშენებელ“-ს არ შეეძლო შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, ხსენებული წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას შესთავაზა სხვა მოდელის საქონლის მიწოდება.

4.5. საქმეში არსებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორის 2018 წლის 20 დეკემბრის № MIA11803061809 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული საქონელის პარამეტრები ვერ აკმაყოფილებდა მხარეთა შორის შეთანხმებულ ტექნიკურ პირობებს. ამდენად, შემსყიდველი ორგანიზაცია არ იყო თანახმა, მიეღო მიმწოდებლის ალტერნატიული შეთავაზება.

4.6. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 27 დეკემბრის № MIA51803128043 წერილით ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მშენებელ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავედროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთმეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, მის განმარტებაში მითითებული ვითარება ვერ ჩაითვლება კომპანიის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად, ვინაიდან მესამე პირის ბრალეული ქმედების გამო მიმწოდებელი თავად აკებს პასუხს შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე.

შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „მშენებელ+“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „მშენებელ+“ (ს/ნ: 400083413) 2019 წლის 12 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე